საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/03

ქ. ბათუმი 06 თებერვალი, 2019 წ.

ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, 31–ე მუხლის მე–5 პუნქტის, „ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევის შესახებ“ ბსუ-ს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 17 თებერვლის №18 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გამოცხადდეს არჩევნები ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის **4 წლის ვადით** დასაკავებლად.

2. ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება;

გ) სამოქმედო გეგმა.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №13), 2019 წლის **11 თებერვლიდან 2019 წლის 19 თებერვლის ჩათვლით**, 10 სთ-დან 16 სთ-მდე.

4. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

გ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით ¾;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) სამოქმედო გეგმა;

ვ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ.

5. ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნები ჩატარდეს **2019 წლის 20-დან 26 თებერვლის ჩათვლით** პერიოდში (ზუსტი თარიღი განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე ერთი დღით ადრე, აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ).

6. ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნებამდე ბსუ-ს აკადემიური საბჭო მოისმენს თითოეული კანდიდატის სამოქმედო გეგმას.

7. ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების შესახებ განცხადება და წინამდებარე დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

8. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**